

ქ. თბილისის მერია



ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების
სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.....	3
2. ტექნიკური მოთხოვნები.....	4
3. სხვა მოთხოვნები.....	12
4. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.....	12
5. დამატებითი ინფორმაცია.....	12
6. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	14
7. დანართი N1 რეკვიზიტები.....	20
8. დანართი N2 ფასების ცხრილი.....	21
9. დანართი N3 გარანტიის ფორმა.....	28
10. დანართი N4 მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	29
11. დანართი N5 მუშა ბრიგადები	31
12. დანართი N6 გამოცდილება.....	32

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

2. ტექნიკური მოთხოვნები

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები და რაოდენობა:

განმარტება:

უსაფრთხოება

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას “მიმწოდებელმა” თითოეული სამუშაოსათვის საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი სამუშაო პირობები. ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს იმ ადგილობრივი და სახელმწიფო კანონების, კოდექსების, მოთხოვნებისა და დადგენილებების შესაბამისად, რომლებიც ეხება ადამიანთა უსაფრთხოებას, ჯანმრთელობის დაცვასა და კეთილდღეობას. “მიმწოდებელი” კარგად უნდა იცნობდეს და უნდა ემორჩილებოდეს ყველა სამშენებლო წესს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობითაა დადგენილი.

“მიმწოდებელმა” უნდა უზრუნველყოს სამუშაოთა უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა წესისა და ინსტრუქციის შესრულება, რათა შეძლებისდაგვარად აიცილოს უბედური შემთხვევები და მინიმუმამდე დაიყვანოს თავისი მუშაკების და სხვა ადამიანთა ზარალი. სამუშაო ტერიტორიაზე უნდა იყოს შესაბამისი ნიშნები და გაფრთხილებები.

სამუშაოების მიმდინარეობისას ობიექტზე მომუშავე ყველა პირი უნდა იყოს შესაბამისი სპეცტანსაცმლით (უსაფრთხოების ქილეტი, ჩაფხუტი, სპეც. ქურთუკი, სპეც. ფეხსაცმელი და ა. შ) აღჭურვილი.

გზების დროებითი და მუდმივი გადაკეტვა და შემოვლითი გზები

სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად შეიძლება საჭირო გახდეს ცალკეული მაგისტრალების ან სავალი ბილიკების გადაკეტვა ან მათი შემოვლითი გზების გაყვანა მუდმივად ან მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში. “მიმწოდებელი” ვალდებულია გზების ჩაკეტვის ან შემოვლითი გზების გაყვანის საკითხები შეათანხმოს პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან. ქუჩების ან სავალი ბილიკების გადაკეტვის, გაუქმების ან სხვაგვარი ზემოქმედების შემდეგ, “მიმწოდებელმა” პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან ერთად უნდა მიიღოს ზომები, რომ სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის დროს ამ ქუჩებით ან სავალი ბილიკებით მოძრაობაზე ზემოქმედება რაც შეიძლება ნაკლები იყოს. იქ, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოები ზემოქმედებას ახდენს არსებულ საზოგადოებრივ თუ კერძო გზებთან ან სხვა გზებთან, სადაც საზოგადოებას თუ კერძო პირებს აქვთ ტრანსპორტით მოძრაობის უფლება, “მიმწოდებელმა” უნდა გაიყვანოს შემოვლითი გზები, იქ, სადაც ეს შესაძლებელია.

მშენებლობის პერიოდში “მიმწოდებელმა” უნდა უზრუნველყოს ქვეითად მოსიარულეთა სავალი სათანადო გზები და ამასთან დაკავშირებით უნდა შეასრულოს შემდეგი მოთხოვნები, იქ, სადაც ეს შესაძლებელი იქნება:

1. ყველა დროებით ტროტუარს და გზის სავალ ნაწილს უნდა ჰქონდეს ერთნაირი ზედაპირი და არ უნდა ჰქონდეს საფეხურები;
2. ყველა დროებითი ქვეითად მოსიარულეთა სავალი და დაქანებული გზა დაფარული უნდა იყოს ისეთი მასალით, რომელიც არ გამოიწვევს მოცურებას და დაცული უნდა იყოს ტალახის და სამშენებლო ნარჩენებისგან;
3. შენარჩუნებულ უნდა იქნეს მთავარი გზების გასწვრივ ყველა ტროტუარის არსებული სიგანე;
4. გზის სავალ ნაწილზე და ტროტუარზე არსებული ყველა ნაპრაღის თუ დაბრკოლების წინ მთელ სიგრძეზე უნდა მოთავსდეს გამაფრთხილებელი ბარიერი;

5. ქვეითად მოსიარულეთა სავალი ყველა გზა, რომელიც გადატანილი იქნება სავალ ნაწილზე, გამოყოფილ უნდა იქნეს ბარიერებით.

ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოება და რეგულირება (მოძრაობის უსაფრთხოების ზომები)

“მიმწოდებელი” ვალდებულია პროექტის განმახორციელებელი ერთეულის თანხმობით განათავსოს საგზაო ნიშნები, გააკეთოს გზების მონიშვნა, დააყენოს განათება, საგზაო ბარიერები და მოძრაობის რეგულირების ნიშნები და მიიღოს სხვა ზომები, რომლებსაც მოითხოვს სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოები.

“მიმწოდებელმა” არ უნდა წამოიწიოს ისეთი სამუშაო, რომელმაც შეიძლება ზემოქმედება იქონიოს სამოქალაქო საავტომობილო მაგისტრალზე, სანამ სარულად არ ამოქმედდება სამუშაოებით განპირობებული საგზაო უსაფრთხოების ზომები.

“მიმწოდებელი” ვალდებულია ყურადღება მიაქციოს, რომ საგზაო ნიშნები, გზების მონიშვნა, განათება, ბარიერები და მოძრაობის რეგულირების ნიშნები იყოს სუფთა და ჩანდეს გარკვევით. იგი ვალდებულია დააყენოს, გადაიტანოს, დაფაროს ან აიღოს ისინი სამუშაოს მიმდინარეობის შესაბამისად და პროექტის განმახორციელებელი ერთეულის თანხმობით.

ზრდასრული ხეების დაცვა

სადაც ეს შესაძლებელია, თავიდან უნდა იქნეს აცილებულ ხეების ჭრა. უარყოფითი ზემოქმედება ტერიტორიის ფარგლებში ან მის გარეთ მდებარე ყველა ხეზე უნდა შემცირდეს სათანადო ზომების მიღებით, რომელიც მოიცავს (არა მარტო) შემდეგს:

1. ქვედა ტოტების შერჩევით მოჭრას სათანადო მეთოდით სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული მექანიკური დაზიანების შესამცირებლად;

2. ნიადაგის ტკეპნის თავიდან ასაცილებლად ხეებს ფესვთა სისტემის გარშემო სპეციალური ჭილობების დაგებას;

3. ხეების გარშემო სპეციალური ღობეების მოწყობას მექანიკური დაზიანების საწინააღმდეგოდ;

4. ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, სამშენებლო სამუშაოები თითოეული ხის სიახლოვეს მუდმივი კონტროლის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს, რათა არ მოხდეს ხეების ძირში ნიადაგის ზედმეტად ტკეპნა. ასეთ ადგილებში არ უნდა ხდებოდეს მძიმე მასალების შენახვა, აგრეთვე უნდა რეგულირდებოდეს სამშენებლო ტექნიკის მოძრაობა.

თუ რომელიმე ხე დაზიანდება ან მოიჭრება თანხმობის გარეშე, ან გახმება სამშენებლო სამუშაოების გამო, მის მაგივრად დარგული უნდა იქნეს შესაბამისი ზომის ნერგი პროექტის განმახორციელებელი ერთეულის თანხმობით.

სამშენებლო მოედნის დასუფთავება სამუშაოთა დასრულების შემდეგ

“მიმწოდებელმა” უნდა დაასუფთაოს ყველა სამუშაო ადგილი სამშენებლო მოედნის ფარგლებში და მის გარეთ და მათთან მისასვლელი გზები მუშაობის მიმდინარეობის პროცესში და მას შემდეგ, როცა ამ ადგილებში დამთავრდება სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აღებულ და გატანილ უნდა იქნეს ზედმეტი გრუნტი და მასალები, დროებითი გზები, ფარდულები, სათავსოები და ღობეები, უნდა ამოივსოს ბოძების დასადგმელად გათხრილი ორმოები, ხოლო მიწის ზედაპირი უნდა მოსწორდეს ისე, რომ მიიღოს თავისი პირვანდელი სახე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება.

„მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს ერთდროულად მინიმუმ 4 ობიექტზე მუშაობა

შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა:

	დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა
1	2	3	4
1	დაზიანებული ა/ბეტონის საფარის ფრეზირება.	მ ²	140 000,00
2	ფრეზირებული ა/ბეტონის ტრანსპორტირება და დასაწყობება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე 15კმ-მდე მანძილზე	მ ³	7 000,00
3	დაზიანებული ა/ბეტონის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩებით და დატვირთვა ავტოთვიტმცლელზე	მ ³	3 600,00
4	III კატ. გრუნტის (ან ნაშალი მასალის) დამუშავება მექანიზმებით და დატვირთვა ავტოთვიტმცლელზე	მ ³	15 000,00
5	III კატ. გრუნტის დამუშავება ხელით და დატვირთვა ავტოთვიტმცლელზე	მ ³	6 000,00
6	დაზიანებული ბორდიურების დემონტაჟი	მ ³	30 000,00
7	ბეტონის ან კლდოვანი გრუნტის დამუშავება მექანიზმებით და დატვირთვა ავტოთვიტმცლელზე	მ ³	700,00
8	სამშენებლო ნაგვის გატანა ნაგავსაყრელზე საშუალოდ 15კმ-ზე.	მ ³	40 000,00
9	გრუნტის შემოტანა საშუალოდ 15კმ მანძილიდან	მ ³	2500,00
10	არსებული ბორდიურების მონტაჟი (ბეტონი ბაზალტი) ბეტონის საფუძველზე. საფუძვლისთვის გამოიყენება არანაკლებ B10 ბეტონი 0.035 მ ³ /გრძივ მეტრზე	გ.მ	2 500,00
11	ახალი ბაზალტის ბორდიურის (15X30) მოწყობა ბეტონის საფუძველზე. საფუძვლისთვის გამოიყენება არანაკლებ B10 ბეტონი 0.035 მ ³ /გრძივ მეტრზე	გ.მ	2 500,00
12	ახალი ბეტონის ბორდიურის (15X30) მოწყობა ბეტონის საფუძველზე. საფუძვლისთვის გამოიყენება არანაკლებ B10 ბეტონი 0.035 მ ³ /გრძივ მეტრზე	გ.მ	18 000,00

13	ახალი ბაზალტის ბორდიურის (10X20) მოწყობა ბეტონის საბუძველზე	გ.მ	4 500,00
14	ახალი ბეტონის ბორდიურის (10X20) მოწყობა ბეტონის საფუძველზე.	გ.მ	4 000,00
15	ახალი ბეტონის ბორდიურის (32X30) მოწყობა ბეტონის საფუძველზე.	გ.მ	4000,00
16	ბეტონის თვალამრიდების მოწყობა	გ.მ	250,00
17	საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით. დატკეპნა. ფრაქციის მაქსიმალური ზომა 120მმ.	მ ³	21 000,00
18	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრ. ღორღით 0/40	მ ³	14 000,00
19	დამუშავებული მონაკვეთის დაგვა-დასუფთავება	მ ²	120 000,00
20	თხევადი ბიტუმის ან ბიტუმის ემულსიის მოსხმა საფუძვლის ზედა ფენაზე 0,7ლ/მ ² -ზე	ლ	98 000,00
21	საფარის ქვედა ფენის დამუშავება 60%-იანი ბიტუმის ემულსიის მთელ ფართზე მოსხმით (0.35ლ/მ ²)	ლ	49 000,00
22	ნაწიბურების დამუშავება(მიკვრა) მოდიფიცირებული ბიტუმის 40X8მმ ლენტით. ნაწიბურის გაწმენდის და სპეციალური წებოთი წინასწარ დამუშავების შემდგომ.	გ/მ	500,00
23	თხევადი ბიტუმის მოსხმა ნაწიბურებზე 0.35ლ-დან 0.40ლ-მდე გრძივ მეტრზე	ლ	10 000,00
24	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა შავი ღორღისგან სისქით 8სმ	მ ²	2 000,00
25	შემასწორებელი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონით	ტ	3 500,00
26	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 5სმ.	მ ²	25 000,00
27	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 6სმ.	მ ²	90 000,00
28	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 7სმ.	მ ²	9 000,00
29	არსებული საკომუნიკაციო ჭების მოყვანა გზის ნიშნულზე ბეტონის საფუძველზე. სპეციალური ბეტონის რომლის შემკვრივების დრო იქნება არაუმეტეს 3 სთ	ც	200,00

30	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 3სმ.	გ	6 200,00
31	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 4სმ.	გ	100 000,00
32	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 5სმ.	გ	44 000,00
33	საფარის ზედა ფენის მოწყობა მაღალ ფოროვანი ცხელი ასფალტის ნარევით სისქით 5სმ, მოწყობილი ზედაპირის დამუშავება სპეციალური ცემენტის ხსნარით. ნახევრად ხისტი ფენილის მოწყობის ტექნოლოგიის ანალოგიურად.	გ ²	2 000,00
34	ტროტუარის საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ქვიშით (0-20მმ ფრაქციის)საშ. სისქით 10 სმ.	გ ³	3 100,00
35	ტროტუარის საფარის მოწყობა ქვიშოვანი ა/ბეტონით სისქით 3სმ	გ	22 000,00
36	დაზიანებული ქვაფენილის (რიყის ქვა, გრანიტის ძელაკი) მოხსნა და დასაწყობება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე	გ	9 500,00
37	საფუძვლის მოწყობა ქვიშა ცემენტის ნარევით (ცემენტი 10%) სისქით 10 სმ.	გ ³	9 500,00
38	გეოგრიდი (სპეციალური ბოჭკოვანი მასალის ბადისებრი ა/ბეტონის ფენებშორისი საგები)	გ	5 000,00
39	გეომემბრანა	გ	5 000,00
40	ქვაფენილის მოწყობა არსებული ქვით (რიყის ქვა, გრანიტის ან ბაზალტის ძელაკი)	გ	6 500,00
41	ქვაფენილის მოწყობა ახალი რიყის ქვით	გ	1 000,00
42	ქვაფენილის მოწყობა ახალი გრანიტის ძელაკებით	გ	1 000,00
43	ქვაფენილის მოწყობა ახალი ბაზალტის ძელაკებით	გ	1 000,00
44	ფრ. ღორღით (0-10) ჩასოღვა ქვაფენილის ზედაპირზე (1,0მ ³ /100მ ²)	გ ³	95,00
45	დაზიანებული ბაზალტის, გრანიტის ან ბეტონის ფილების დემონტაჟი	გ	4 000,00
46	არსებული დაზიანებული ფილების აღდგენა ბეტონის საფუძველზე სისქით 4 სმ.	გ	800,00

47	ახალი 30X30X4 ბაზალტის ფილების მოწყობა ბეტონის საფუძველზე სისქით 4 სმ.	გ	800,00
48	ახალი 30X30X4 გრანიტის ფილების მოწყობა ბეტონის საფუძველზე სისქით 4 სმ.	გ	800,00
49	დაზიანებული ბეტონის ფილების აღდგენა ქვიშა-ცემენტის (ცემენტი 10%) საფუძველზე	გ	800,00
50	ახალი ბეტონის ფილების მოწყობა ქვიშა-ცემენტის საფუძველზე სისქით 8 სმ.	გ	800,00
51	სარტყლის მოწყობა ბეტონით B25	გ	347,00
52	ბეტონის ნაკეთობების მოწყობა/აღდგენა B25 მარკის ბეტონით	გ	100,00
53	თხრილის ძირის მოშანდაკება ხელით	გ	2 000,00
54	დ = 500 მმ პლასტმასის მილის მოწყობა თხრილში საპროექტო მდგომარეობაში	მ	1400,00
55	დ = 400 მმ პლასტმასის მილის მოწყობა თხრილში საპროექტო მდგომარეობაში	მ	630,00
56	დ = 300 მმ პლასტმასის მილის მოწყობა თხრილში საპროექტო მდგომარეობაში	მ	500,00
57	რკ. ბეტონის რგოლების მოწყობა $\varnothing 1000$ სათვალთვალო ჭისთვის. რგოლებს შორის ქვიშა-ცემენტის ნარევის მოწყობა სისქით 1სმ.	რგოლი	150,00
58	სათვალთვალო ჭების გადახურვის რკ. ბეტ. ფილები ოთხკუთხა ხუფებით დ-1000 მოწყობა	ც	150,00
60	სათვალთვალო ჭის ფუნდამენტის მოწყობა B15 კლასის მონოლითური ბეტონით.	გ	60,00
61	სათვალთვალო/წყალ მიმღები ჭების ქვეშ ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის მოწყობა და დატკეპნა	გ	130,00
62	სანიაღვრე ჭების მოწყობა მონოლითური მ-200 მარკის ბეტონით	გ	220,00
63	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი სანიაღვრე ჭების ქვეშ. k=1,22	გ	60,00
64	ქვიშის ჩაყრა თხრილში ხელით და დატკეპნა.	გ	1 200,00
65	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის ჩაყრა თხრილში მექანიზმით და დატკეპნა. k=1.22	გ	2 440,00
66	თუჯის ოთხკუთხა ცხაურების ჩარჩოებით მოწყობა	ც	100,00

67	თუჯის გვერდმიმღების მოწყობა	ც	100,00
68	№14 ორტესებრი კოჭის მოწყობა	მ	100,00
69	გვერდმიმღებების და ცხაურების დამაგრება ფოლადის ტროსით. ტროსი 6 მმ, გვერდმიმღებზე 1,0 მ, ცხაურზე 0,6 მ.	მ	150,00
70	ხეების ამოძირკვა	ც	50,00
71	ბეტონის კიუვეტების მოწყობა	მ ³	500,00
72	გრუნტის კიუვეტების მოწყობა	მ ³	700,00
73	ბეტონის მოსამზადებელი შრის მოწყობა	მ ³	30,00
74	კედლის მოწყობა მონოლითური რკ.ბეტონის ბ-22,5 მარკის ჰიდროტექნიკური სულფატმედეგი ბეტონით	მ ³	393,00
75	არმატურა ა-I	ტ	4,00
76	არმატურა ა-III	ტ	7,00
77	გვერდულების მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით 0-70მმ და დატკეპნა	მ ³	2500,00

2.2 მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და მუშა ბრიგადების რაოდენობის მოთხოვნა:

2.2.1 პრეტენდენტს საკუთრებაში უნდა გააჩნდეს შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (4 ბრიგადაზე)
1	ფრეზი დიდი (დოლის სიგანე მინიმუმ 1,9მ)	1
2	გლუვდოლიანი ვიბრო სატკეპნი (2,5ტ-4ტ)	2
3	გლუვდოლიანი ვიბრო სატკეპნი (6ტ-8ტ)	1
4	გლუვდოლიანი ვიბრო სატკეპნი (14ტ-16ტ)	1
5	პნევმატური (რეზინის თვლიანი) სატკეპნი (16ტ-18ტ)	1
6	კომბინირებული ვიბრო სატკეპნი (14ტ-16ტ)	1
7	გრეიდერი	2
8	ასფალტოდამგები	2
9	ლაფეტი	1
10	ა/ბეტონის ქარხანა მინიმუმ 80ტ/ს წარმადობით	1

ქარხანა არ უნდა იყოს ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებიდან 35კმ მეტი მანძილით დაშორებული.

2.2.2 პრეტენდენტს საკუთრებაში და/ან იჯარით უნდა გააჩნდეს შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (4 ბრიგადაზე)
1	ფრეზი (დოლის სიგანე მინიმუმ 1მ)	1
2	დამტვირთველი მექანიზმი	2
3	ავტოთვიომცლელი მინიმუმ 7ტ ტვირთამწეობით	8
4	ავტოგუდრონატორი	1
5	ექსკავატორი	2
6	საფარის ზედაპირის საწმენდი ჯაგრისიანი მექანიზმი	1
7	კომპრესორი	2
8	პნევმატური ჩაქუჩი	4
9	ვიბრო ფილა	2
10	მხტუნავი სატკეპნი	2
11	ასფალტის საჭრელი ხერხი	1
12	საგზაო ნიშნების და შემოსაზღვრედი საშუალებების სრული კომპლექტი ობიექტის სრულყოფილად მოწყობაზე გათვლილი	4
13	საქმიანი ეზო ჩამოთვლილი ტექნიკის განთავსების შესაძლებლობით	1

იჯარის შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულების დასრულების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ;

2.2.3 მუშა ბრიგადები:

პრეტენდენტს უნდა ყავდეს მინიმუმ 4 ბრიგადა სრული შემადგენლობით და აღჭურვილობით.

2.3 გამოცდილება.

2.3.1 პრეტენდენტს 2009 წლის 01 იანვრიდან უნდა გააჩნდეს მინიმუმ **12 500 000** ლარის ანალოგიური სამუშაოების (გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები) შესრულების გამოცდილება (წარმოდგენილ იქნას დამადასტურებელი დოკუმენტაცია – ხელშეკრულებ(ებ)ა) (დანართი #6).

3. სხვა მოთხოვნები

3.1 მიწოდების ვადა და ადგილი:

3.1.1 შესაკეთებელი კონკრეტული ობიექტ(ებ)ის მისამართი, პროექტი და შესრულების გეგმა-გრაფიკი (საჭიროების შემთხვევაში) შემსყიდველის (წარმოდგენილი ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის სახით) მიერ ეტაპობრივად ეცნობება მიმწოდებელს.

3.3.2 მთლიანი სამუშაოების დასრულების ვადა – ეტაპობრივად, 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.3.3 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი.

3.2 სატენდერო წინადადების ფასი:

3.2.1 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

3.3 ანგარიშსწორების პირობები:

3.3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3.3.2 ანგარიშსწორება მოხდება თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში, საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება არაუგვიანეს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

3.3.3 შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის და საბანკო გარანტიის საფუძველზე არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 25%-სა. (ავანსის საბანკო გარანტია 1 (ერთი) თვით უნდა აღმატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.

4. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

4.1 ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით, დანართი #3-ის მიხედვით.

4.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღმატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას.

5. დამატებითი ინფორმაცია:

5.1 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

5.2 სუბკონტრაქტორი არ გამოიყენება.

5.3 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, ქ. შარტავას ქუჩა #7, მე-15 სართული. საკონტაქტო პირი: მარიამ ცენტერაძე, ტელ: +99532 378 572.

6. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

6.6.1 რეკვიზიტები და ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა დანართი #1-ის მიხედვით.

6.6.2 ფასების ცხრილი დანართი #2-ის მიხედვით;

6.6.3 ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ დანართი #4-ის შესაბამისად;

6.6.4 ინფორმაცია მუშა ბრიგადების შესახებ დანართი #5-ის შესაბამისად;

- 6.6.5** ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ დანართი #6-ის შესაბამისად;
- 6.6.6** ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ;
- 6.6.7** ინფორმაცია მისამართის შესახებ, სადაც სატენდერო კომისიის მიერ შესაძლებელი იქნება ტექნიკური მოთხოვნების 2.2.1 და 2.2.2 პუნქტებით მოთხოვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და აღჭურვილობის, ბიტუმის ლენტის ნიმუშის ნახვა.

შენიშვნა:

ელექტრონული ვაჭრობის დასრულების შემდეგ, 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, დაბალფასიანმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს მის სარგებლობაში მყოფი ჩამოთვლილი სავალდებულო მანქანა-მექანიზმების მობილიზება მის სარგებლობაში მქონე საქმიან ეზოში.

**6. ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №**

პროექტი

ქ. თბილისი

თარიღი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი ---- სახით და მეორეს მხრივ ----- (“შემდგომში მიმწოდებელი”), წარმოდგენილი ---- სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 2.1 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
- 2.2 დანართი – ნებისმიერი დამატებითი მასალა (წერილობით შედგენილი), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას. დანართი, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**3. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება,
ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა**

- 3.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები;
- 3.2 შესყიდვის საშუალება – ელექტრონული ტენდერი;
- 3.3 ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი -----;
- 3.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით;
- 3.5 კლასიფიკატორის კოდი - **45233142**;
- 3.6 ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 01 იანვრიდან და ძალაშია 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. სამუშაოს შესრულების ვადა, რაოდენობა და ადგილი

- 4.1 შესაკეთებელი კონკრეტული ობიექტ(ებ)ის მისამართი, პროექტი და შესრულების გეგმა-გრაფიკი (საჭიროების შემთხვევაში) შემსყიდველის (წარმოდგენილი ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის სახით) მიერ ეტაპობრივად ეცნობება მიმწოდებელს.
- 4.2 მთლიანი სამუშაოების დასრულების ვადა – ეტაპობრივად, 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 4.3 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი.

5. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

- 5.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარში.
- 5.2 ანგარიშსწორება მოხდება თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღის განმავლობაში, საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება არაუგვიანეს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 5.3 შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის და საბანკო გარანტიის საფუძველზე, არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 25%-სა (საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღმატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებას და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

6.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა საშუალო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) დასრულების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) დასრულების შესახებ და წარუდგინოს ანგარიშები (შესრულებული ვალდებულების შესახებ).

7.2 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) დასრულების შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ შემსყიდველის მიერ დაქირავებული საქსპერტო ჯგუფი განახორციელებს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შემოწმებას და შემოწმების შედეგებს აცნობებს შემსყიდველს, რის შემდეგაც შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლში მითითებული პირები).

7.3 შემსყიდველის მიერ დაქირავებული საქსპერტო ჯგუფის მიერ შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შემოწმების დროს დეფექტის ან ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში შემსყიდველი ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობებს მიმწოდებელს შემოწმების შედეგებს - დაწუნებულ სამუშაოებს და წუნდების მიზეზებს.

7.4 შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ შუალედური კონტროლის შედეგები იყო დადებითი.

7.5 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.2 საბანკო გარანტიის (ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის) მოქმედების ვადა ხელშეკრულებით დადგენილ მთლიანი სამუშაოების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 30 დღით.

8.3 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8.4 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

9.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს;

9.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ **1 (ერთი) წლის** განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

10. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

10.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

10.2 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიხადოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

12.2 კონკრეტულ ობიექტზე გადაცემული გეგმა-გრაფიკის 1-დან 10 დღემდე ვადით დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული კონკრეტული ობიექტის შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0.25%-ის ოდენობით, ხოლო გეგმა-გრაფიკის 10-დან 20 დღემდე ვადით დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული კონკრეტული ობიექტის შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით;

12.3 კონკრეტულ ობიექტზე გადაცემული გეგმა-გრაფიკის 20 დღეზე მეტი ვადით დარღვევის და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.4 თუ მიმწოდებლის მიერ გეგმა გრაფიკით გათვალისწინებული ვადის დარღვევა გამოწვეული არის შემსყიდველის მიერ დაქირავებული საქსპერტო ჯგუფის მიერ შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შემოწმებისათვის აუცილებელი დროის გამოყენებით, ასეთ შემთხვევებში არ იქნება გამოყენებული წინამდებარე ხელშეკრულების 11.2 და 11.3 პუნქტებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

12.5 სამუშაოების შესრულებისას მიმწოდებლის მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე ჯარიმა 200 ლარის ოდენობით;

12.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.7 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნეს მხარისათვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

13.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიაღდა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

13.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.5 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.6 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

- ა) კონკრეტულ ობიექტზე გადაცემული გეგმა-გრაფიკის 20 დღეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში;
- ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.7 ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ღირებულება.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

14.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

14.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15. უფლებების გადაცემა;

15.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

15.2 მიმწოდებელს არა აქვს უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

16. სუბკონტრაქტორები

16.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადადარე ხელშეკრულების დამატების სახით.

16.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

16.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

17. ფასები

17.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

17.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.

17.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

17.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

17.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

18. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

18.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანით, მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

19. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

19.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან

ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

20. სადაო საკითხების გადაწყვეტა

20.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შეთანხმებით ან/და მოგვარდეს პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით სამართლიანობის ფარგლებში.

20.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს

20.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს

20.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

20.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

21. ხელშეკრულების ენა

21.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, ერთი ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას მიენიჭება უპირატესობა.

22. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

საიდენტიფიკაციო კოდი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე წარმოდგენილი იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანო გარანტია ტენდერზე დაფიქსირებული საბოლოო ფასის 10%-ის ოდენობით.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

	დასახელება	განზ. ვრცეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება ლარი	მთლიანი ღირებულება ლარი
1	2	3	4	5	6
1	დაზიანებული ა/ბეტონის საფარის ფრეზირება.	მ ²	140 000,00		
2	ფრეზირებული ა/ბეტონის ტრანსპორტირება და დასაწყობება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე 15კმ-მდე მანძილზე	მ ³	7 000,00		
3	დაზიანებული ა/ბეტონის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქურებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ ³	3 600,00		
4	III კატ. გრუნტის (ან ნაშალი მასალის) დამუშავება მექანიზმებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ ³	15 000,00		
5	III კატ. გრუნტის დამუშავება ხელით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ ³	6 000,00		
6	დაზიანებული ბორდიურების დემონტაჟი	მ ³	30 000,00		
7	ბეტონის ან კლდოვანი გრუნტის დამუშავება მექანიზმებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ ³	700,00		

8	სამშენებლო ნაგვის გატანა ნაგავსაყრელზე საშუალოდ 15კმ-ზე.	მ ³	40 000,00		
9	გრუნტის შემოტანა საშუალოდ 15კმ მანძილიდან	მ ³	2500,00		
10	არსებული ბორდიურების მონტაჟი (ბეტონი ბაზალტი) ბეტონის საფუძველზე. საფუძვლისთვის გამოიყენება არანაკლებ B10 ბეტონი0.035 მ ³ /გრძივ მეტრზე	გ.მ	2 500,00		
11	ახალი ბაზალტის ბორდიურის (15X30)მოწყობა ბეტონის საფუძველზე. საფუძვლისთვის გამოიყენება არანაკლებ B10 ბეტონი0.035 მ ³ /გრძივ მეტრზე	გ.მ	2 500,00		
12	ახალი ბეტონის ბორდიურის (15X30) მოწყობა ბეტონის საფუძველზე.საფუძვლისთვის გამოიყენება არანაკლებ B10 ბეტონი0.035 მ ³ /გრძივ მეტრზე	გ.მ	18 000,00		
13	ახალი ბაზალტის ბორდიურის (10X20) მოწყობა ბეტონის საბუძველზე	გ.მ	4 500,00		
14	ახალი ბეტონის ბორდიურის (10X20) მოწყობა ბეტონის საფუძველზე.	გ.მ	4 000,00		
15	ახალი ბეტონის ბორდიურის (32X30) მოწყობა ბეტონის საფუძველზე.	გ.მ	4000,00		
16	ბეტონის თვალამრიდების მოწყობა	გ.მ	250,00		
17	საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა კვიშა-ხრეშოვანი ნარევით. დატკეპნა. ფრაქციის მაქსიმალური ზომა 120მმ.	მ ³	21 000,00		
18	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრ. ღორღით 0/40	მ ³	14 000,00		
19	დამუშავებული მონაკვეთის დაგვა-დასუფთავება	მ ²	120 000,00		

20	თხევადი ბიტუმის ან ბიტუმის ემულსიის მოსხმა საფუძვლის ზედა ფენაზე 0,7ლ/მ ² -ზე	ზ	98 000,00		
21	საფარის ქვედა ფენის დამუშავება 60%-იანი ბიტუმის ემულსიის მთელ ფართზე მოსხმით (0.35ლ/მ ²)	ზ	49 000,00		
22	ნაწიბურების დამუშავება(მიკვრა) მოდიფიცირებული ბიტუმის 40X8მმ ლენტით. ნაწიბურის გაწმენდის და სპეციალური წებოთი წინასწარ დამუშავების შემდგომ.	გ/მ	500,00		
23	თხევადი ბიტუმის მოსხმა ნაწიბურებზე 0.35ლ-დან 0.40ლ-მდე გრძივ მეტრზე	ლ	10 000,00		
24	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა შავი ლორღისგან სისქით 8სმ	გ	2 000,00		
25	შემასწორებელი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონით	ტ	3 500,00		
26	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 5სმ.	გ	25 000,00		
27	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 6სმ.	გ	90 000,00		
28	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 7სმ.	გ	9 000,00		
29	არსებული საკომუნიკაციო ჭების მოყვანა გზის ნიშნულზე ბეტონის საფუძველზე. სპეციალური ბეტონის რომლის შემკვრივების დრო იქნება არაუმეტეს 3 სთ	ც	200,00		

30	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 3სმ.	მ ²	6 200,00		
31	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 4სმ.	მ ²	100 000,00		
32	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონით სისქით 5სმ.	მ ²	44 000,00		
33	საფარის ზედა ფენის მოწყობა მაღალ ფოროვანი ცხელი ასფალტის ნარევით სისქით 5სმ, მოწყობილი ზედაპირის დამუშავება სპეციალური ცემენტის ხსნარით. ნახევრად ხისტი ფენილის მოწყობის ტექნოლოგიის ანალოგიურად.	მ ²	2 000,00		
34	ტროტუარის საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ქვიშით (0-20მმ ფრაქციის)საშ. სისქით 10 სმ.	მ ³	3 100,00		
35	ტროტუარის საფარის მოწყობა ქვიშოვანი ა/ბეტონით სისქით 3სმ	მ ²	22 000,00		
36	დაზიანებული ქვაფენილის (რიყის ქვა, გრანიტის ძელაკი) მოხსნა და დასაწყობება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე	მ ²	9 500,00		
37	საფუძვლის მოწყობა ქვიშა ცემენტის ნარევით (ცემენტი 10%) სისქით 10 სმ.	მ ³	9 500,00		
38	გეოგრიდი (სპეციალური ბოჭკოვანი მასალის ბადისებრი ა/ბეტონის ფენებშორისი საგები)	მ ²	5 000,00		
39	გეომემბრანა	მ ²	5 000,00		

40	ქვაფენილის მოწყობა არსებული ქვით (რიყის ქვა, გრანიტის ან ბაზალტის ძელაკი)	მ²	6 500,00		
41	ქვაფენილის მოწყობა ახალი რიყის ქვით	მ²	1 000,00		
42	ქვაფენილის მოწყობა ახალი გრანიტის ძელაკებით	მ²	1 000,00		
43	ქვაფენილის მოწყობა ახალი ბაზალტის ძელაკებით	მ²	1 000,00		
44	ფრ. ღორღით (0-10) ჩასოღვა ქვაფენილის ზედაპირზე (1,0მ³/100მ²)	მ³	95,00		
45	დაზიანებული ბაზალტის, გრანიტის ან ბეტონის ფილების დემონტაჟი	მ²	4 000,00		
46	არსებული დაზიანებული ფილების აღდგენა ბეტონის საფუძველზე სისქით 4 სმ.	მ²	800,00		
47	ახალი 30X30X4 ბაზალტის ფილების მოწყობა ბეტონის საფუძველზე სისქით 4 სმ.	მ²	800,00		
48	ახალი 30X30X4 გრანიტის ფილების მოწყობა ბეტონის საფუძველზე სისქით 4 სმ.	მ²	800,00		
49	დაზიანებული ბეტონის ფილების აღდგენა ქვიშა-ცემენტის (ცემენტი 10%) საფუძველზე	მ²	800,00		
50	ახალი ბეტონის ფილების მოწყობა ქვიშა-ცემენტის საფუძველზე სისქით 8 სმ.	მ²	800,00		
51	სარტყლის მოწყობა ბეტონით B25	მ³	347,00		
52	ბეტონის ნაკეთობების მოწყობა/აღდგენა B25 მარკის ბეტონით	მ³	100,00		

53	თხრილის ძირის მოშანდაკება ხელით	გ	2 000,00		
54	დ = 500 მმ პლასტმასის მილის მოწყობა თხრილში საპროექტო მდგომარეობაში	მ	1400,00		
55	დ = 400 მმ პლასტმასის მილის მოწყობა თხრილში საპროექტო მდგომარეობაში	მ	630,00		
56	დ = 300 მმ პლასტმასის მილის მოწყობა თხრილში საპროექტო მდგომარეობაში	მ	500,00		
57	რკ. ბეტონის რგოლების მოწყობა Ø1000 სათვალთვალო ჭისტვის. რგოლებს შორის ქვიშა-ცემენტის ნარევის მოწყობა სისქით 1სმ.	რგოლი	150,00		
58	სათვალთვალო ჭების გადახურვის რკ. ბეტ. ფილები ოთხკუთხა ხუფებით დ-1000 მოწყობა	ც	150,00		
60	სათვალთვალო ჭის ფუნდამენტის მოწყობა B15 კლასის მონოლითური ბეტონით.	გ	60,00		
61	სათვალთვალო/წყალ მიმღები ჭების ქვეშ ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის მოწყობა და დატკეპნა	გ	130,00		
62	სანიაღვრე ჭების მოწყობა მონოლითური მ-200 მარკის ბეტონით	გ	220,00		
63	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი სანიაღვრე ჭების ქვეშ. k=1,22	გ	60,00		
64	ქვიშის ჩაყრა თხრილში ხელით და დატკეპნა.	გ	1 200,00		
65	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის ჩაყრა თხრილში მექანიზმით და დატკეპნა. k=1.22	გ	2 440,00		
66	თუჯის ოთხკუთხა ცხურების ჩარჩოებით მოწყობა	ც	100,00		

67	თუჯის გვერდმიმღების მოწყობა	ც	100,00		
68	№14 ორტესი კოჭის მოწყობა	მ	100,00		
69	გვერდმიმღებების და ცხაურების დამაგრება ფოლადის ტროსით. ტროსი 6 მმ, გვერდმიმღებზე 1,0 მ, ცხაურზე 0,6 მ.	მ	150,00		
70	ხეების ამოძირკვა	ც	50,00		
71	ბეტონის კიუვეტების მოწყობა	მ ³	500,00		
72	გრუნტის კიუვეტების მოწყობა	მ ³	700,00		
73	ბეტონის მოსამზადებელი შრის მოწყობა	მ ³	30,00		
74	კედლის მოწყობა მონოლითური რკ.ბეტონის ბ-22,5 მარკის პიდროტექნიკური სულფატმედეგი ბეტონით	მ ³	393,00		
75	არმატურა ა-I	ტ	4,00		
76	არმატურა ა-III	ტ	7,00		
77	გვერდულების მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით 0-70მმ და დატკეპნა	მ ³	2500,00		
	ჯამი				
	ზედნადები ხარჯები	%			
	ჯამი				
	მოგება	%			
	ჯამი				
	გაუთვალისწინებელი ხარჯი	3%			
	ჯამი				
	დ.ღ.გ	18%			
	სულ ჯამი:				

შენიშვნა: გაუთვალისწინებელი ხარჯი 3% არის უცვლელი.

ხელმოწერა _____ ბ.ა

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის: _____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

—

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ _____ ტენდერში წარდგენილი თავისი
(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

—

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

(თარიღი)

(მისამართი)

ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ – ტექნიკური ბაზის შესახებ

1. პრეტენდენტს საკუთრებაში უნდა გააჩნდეს შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (4 ბრიგადაზე)
1	ფრეზი დიდი (დოლის სიგანე მინიმუმ 1,9მ)	1
2	გლუვდოლიანი ვიბრო სატკეპნი (2,5ტ-4ტ)	2
3	გლუვდოლიანი ვიბრო სატკეპნი (6ტ-8ტ)	1
4	გლუვდოლიანი ვიბრო სატკეპნი (14ტ-16ტ)	1
5	პნევმატური (რეზინის თვლიანი) სატკეპნი (16ტ-18ტ)	1
6	კომბინირებული ვიბრო სატკეპნი (14ტ-16ტ)	1
7	გრეიდერი	2
8	ასფალტოდამგები	2
9	ლაფეტი	1
10	ა/ბეტონის ქარხანა მინიმუმ 80ტ/ს წარმადობით	1

ქარხანა არ უნდა იყოს ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებიდან 35კმ მეტი მანძილით დაშორებული.

2. პრეტენდენტს საკუთრებაში და/ან იჯარით უნდა გააჩნდეს შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (4 ბრიგადაზე)
1	ფრეზი (დოლის სიგანე მინიმუმ 1მ)	1
2	დამტვირთველი მექანიზმი	2
3	ავტოთვითმცლელი მინიმუმ 7ტ ტვირთამწეობით	8
4	ავტოგუდრონატორი	1
5	ექსკავატორი	2
6	საფარის ზედაპირის საწმენდი ჯაგრისიანი მექანიზმი	1
7	კომპრესორი	2
8	პნევმატური ჩაქუჩი	4
9	ვიბრო ფილა	2
10	მხტუნავი სატკეპნი	2

11	ასფალტის საჭრელი ხერხი	1
12	საგზაო ნიშნების და შემოსაზღვრული საშუალებების სრული კომპლექტი ობიექტის სრულყოფილად მოწყობაზე გათვლილი	4
13	საქმიანი ეზო ჩამოთვლილი ტექნიკის განთავსების შესაძლებლობით	1

იჯარის შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულების დასრულების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ;

დანართი #4 მითითებული მანქანა-მექანიზმების საკუთრების და/ან იჯარის დამადასტურებელი დოკუმენტი ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

ხელმოწერა _____ ბ.ა

ინფორმაცია პრეტენდენტის მუშა ბრიგადების შესახებ

პრეტენდენტს უნდა ყავდეს მინიმუმ 4 ბრიგადა სრული შემადგენლობით და აღჭურვილობით.

დანართი #5 ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

ხელმოწერა _____ ბ.ა

მონაცემები პრეტენდენტის მიერ
განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების
შესრულების შესახებ

პრეტენდენტის დასახელება _____

#	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი
1.				
2.				
3.				
#				

შენიშვნა:

პრეტენდენტს 2009 წლის 01 იანვრიდან უნდა გააჩნდეს მინიმუმ **12 500 000** ლარის ანალოგიური სამუშაოების (გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების) შესრულების გამოცდილება, რომელიც ინფორმაციის სახით მოცემული უნდა იყოს დანართი #6-ით გათვალისწინებულ ცხრილში. აღნიშნული შესაბამის დადასტურებულ დოკუმენტაციასთან (ხელშეკრულებ(ებ)ა) ერთად ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

ხელმოწერა _____

ბ.ა.